პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველო

№ 33 (3010)

1966 წ. 16 ოთხშაბათი, თებერვალი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

ლაპარაკობენ დელეგატები

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲡᲠᲘᲒᲨᲘ: ᲡᲐᲭᲐᲠᲐᲙᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ!

ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲓᲐᲜ თბილისს დაბრუნდა მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი. იგი არჩეულია საქართველოს კომკავშირის XVI-ე ყრილობის დელეგატად. ჩვენმა კორესპონდენტმა ინახულა ნ. გაფრინდაშვილი და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

● **როგორი შედეგები გქონდათ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ?**

— ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲕᲘᲪᲘᲡ საჭადრაკო ფესტივალის ორგანიზატორების მიწვევით გახლდით. როგორც ცნობილია, იქ ოსტატ ვაჟთა ტურნირში ვითამაშე და 12-კაციანში VI ადგილზე გავედი. ᲑᲔᲕᲠᲘᲕᲘᲪᲘᲓᲐᲜ მიმიწვიეს ქალაქ ზვოლში, საადაც კვლავ ვაჟებს — დიდოსტატებსა და ოსტატებს შევხვდი. აქ ათმა ვითამაშეთ შვეიცარიული სისტემით. შე III-IV ადგილები გავიყავი იუგოსლავიელ ოსტოიჩთან. შედეგებით უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა ზოგიერთ პარტიაში უკეთესად უნდა მეთამაშა.

● **რას ელით ურილობისგან?**

— ყრილობაზე სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლებს ბევრი სათქმელი ექნებათ. იგი ჩვენცა გვაქვს. ახლა დღის წესრიგში დგას ქართულ ენაზე საჭადრაკო ჟურნალის გამოცემის საკითხი. დასამალი არ არის. ძალიან პატარა სპეციალური ლიტერატურა მოგვეპოვება. და ეს მაშინ როცა თვალსაჩინოდ გაიზარდა ჭადრაკის მასობრიობა ჩვენში. ქართველ ახალგაზრდობას იტაცებს ჭადრაკი და ჩვენც ვალდებული ვართ დავაკმაყოფილოთ მისი ინტერესი.

● **წლეულს კიდევ რომელ შეჯიბრებებში აპირებთ თამაშს?**

— ჯერჯერობით ვიცი, რომ უნდა გავემგზავრო ბელგრადს, სადაც მიწვეული ვარ ქალთა საერთაშორისო დღისადმი — 8 მარტისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

სპარტაკიადისათვის მზადება საყოველთაო-სახალხო საქმეა

საბჭოთა კავშირის ფიზკულტურელები და სპორტსმენები ემზადებიან დიდი საყოველთაო-სახალხო ზეიმისთვის — სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებისთვის, რომელიც ეძღვნება საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს. შეჯიბრება გაიმართება მოსკოვში 1967 წლის აგვისტოში.

სსრ კავშირის ხალხთა სამ წინა სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას ეკავა მეხუთე საპატიო ადგილი მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის კოლექტივების შემდეგ. ახლა ამოცანა ის არის, რომ არა თუ არ დავომოთ მოპოვებული პოზიციები, არამედ უკეთესი ადგილი მოვიპოვოთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რესპუბლიკის სპარტაკიადის მომზადებასა და მოწყობას, საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობას სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში და მიიღეს ერთობლივი დადგენილება „საქართველოს სსრ სპარტაკიადის მოწყობისა და საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში 1967 წელს საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შესახებ". დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ IV საზაფხულო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება მოეწყობა რესპუბლიკის დედაქალაქში 1967 წლის ივნისში. სპარტაკიადის მომზადებისა და მოწყობისათვის შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ამხანაგები დ. გ. სტურუა (თავმჯდომარე), ვ. მ. სირაძე (თავმჯდომარის მოადგილე), დ. ვ. გოგოხია, ლ. მ. უკლება, ვ. ს. გელაშვილი, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, მ. გ. ჩიქოვანი, ლ. მ. დავითაძე, ქ. კ. ჯიოევი, დ. ვ. ლაშარაძე, ო. ე. ჩერქეზია, გ. ვ. სიხარულიძე, თ. ვ. ლაშარაშვილი, გ. ნ. ჯიბლაძე, ნ. პ. სერგეევი და შ. ვ. ბუხრაშვილი.

საქართველოს სსრ სპარტაკიადის ფინალში მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ჭიათურის, ფოთის, ტყიბულის მუზრდილთა და ნოსტალგიანი ნაკრები გუნდები. საწარმოთა ფიზიკური კულტურის უღელტეხილი კოლექტივები, აგრეთვე სპორტის სხვადასხვა სახეობაში ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდები და რესპუბლიკის სოფლის, რაიონების საუკეთესო გუნდები.

1966-1967 წლებში საქართველოს სსრ სპარტაკიადის ფინალის წინ უნდა გაიმართოს ფიზიკური კულტურის ყველა საქალაქო და სასოფლო კოლექტივის სპარტაკიადები, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დავალეს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ, რომ სპარტაკიადა მოეწყოს მოსახლეობის ყველა ფენაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი მასობრივი განვითარებისა და საქართველოს სსრ სპარტაკიადის ფინალში მონაწილეობისთვის ნაკრები გუნდების მომზადების ნიშნით ფართოდ დაინერგოს საზოგადოებრივ საწყისებზე მარტივი სპორტული მოედნების მშენებლობა იმ მიზნით, რომ სპარტაკიადისათვის ყოველ ქარხანას, საბჭოთა მეურნეობას, კოლმეურნეობას, უმაღლეს სასწავლებელს, ტექნიკუმს, თვითეულ ფაბრიკასა და სკოლას, ფიზკულტურის თვითეულ კოლექტივს ჰქონდეს საკუთარი სპორტული ბაზა, 1966 წლის 1 მარტისთვის სანიმუშო წესრიგზე უნდა იყოს არსებული სპორტული ნაგებობანი, სტადიონები, აუზები, მოედნები და დარბაზები, ყოველ კვარტალში მოისმინონ საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს მოზრდილთა და მოსწავლეთა გუნდების მზადება რესპუბლიკის სპარტაკიადისათვის და როგორია ფიზკულტურის კოლექტივების სპარტაკიადების მოწყობის შედეგები.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა ქალაქ თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოსთან, ნებაყოფლობითს სპორტულ საზოგადოებებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის, თბილისის ახალგაზრდობის სპორტული სკოლისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ცენტრალური საბჭოების ბაზაზე უნდა შექმნან რესპუბლიკის გაერთიანებული ნაკრები გუნდები სპორტის ყველა სახეობაში, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში და უზრუნველყონ მათი მთელი წლის სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა. ამ გუნდებს უნდა ხელმძღვანელობდნენ რესპუბლიკის საუკეთესო მწვრთნელები.

ბათუმის, სოხუმის, ცხინვალისა და ქუთაისის ახალგაზრდობის სპორტულ სკოლებთან დამატებით გაიხსნას მძლეოსნობის, ცურვის, ტანვარჯიშისა და ველოსპორტის 25 ჯგუფი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან და უწყებებთან ერთად რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაგზავნონ სპორტის სახეობათა სპეციალისტები და წამყვანი სპორტსმენები საქართველოს სსრ სპარტაკიადისათვის მზადებაში ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსწავლე სპორტსმენები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან სპორტის ისეთ მასობრივ სახეობებში, როგორიც არის მძლეოსნობა, ცურვა და ველოსპორტი და ვალდებულია განახორციელოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის გაუმჯობესების დიდი ღონისძიებანი და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ბავშვთა სპორტულ სკოლებს.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურმა კომიტეტმა, საქართველოს „დინამოს" საბჭომ და „მონკავშირის" გამგეობამ უნდა შექმნან სასტენდო და ტყვიით სროლის ნაკრები გუნდები. უზრუნველყონ სასროლი ესისა და ტირების მომზადება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში 1966 წლის 1 მარტისათვის. იკისრონ შეფობა რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი, სადაც არ არის შესაბამისი ბაზები.

სამინისტროების, უწყებების, სასწავლებლების, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან ყოველმხრივ დაეხმარონ სპორტულ ორგანიზაციებს ნაკრები გუნდების მთელი წლის სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნაში.

რესპუბლიკის აროფკავშირებისა და უწყებების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებანი ვალდებულნი არიან რაიონებისა და ქალაქების სპორტულ კოლექტივებს ქმედითი დახმარება გაუწიონ საქართველოს სსრ სპარტაკიადისათვის მოსამზადებელ მუშაობაში, ფართოდ გააჩაღონ სამეფო მუშაობა როგორც ქალაქის, ისე სოფლის სკოლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა 1967 წლის საგამომცემლო გეგმაში უნდა შეიტანოს მეთოდური სახელმძღვანელოები სპორტის სახეობებისა და სპარტაკიადისადმი მიძღვნილი ფერადი პლაკატები, ფოტოალბომი, რომელიც მიეძღვნება ქართველ სპორტსმენთა მიღწევებს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მახვილზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა 1967 წლის საგამომცემლო გეგმაში უნდა შეიტანოს მეთოდური სახელმძღვანელოები სპორტის სახეობებისა და სპარტაკიადისადმი მიძღვნილი ფერადი პლაკატები, ფოტოალბომი, რომელიც მიეძღვნება ქართველ სპორტსმენთა მიღწევებს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მახვილზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა 1967 წლის საგამომცემლო გეგმაში უნდა შეიტანოს მეთოდური სახელმძღვანელოები სპორტის სახეობებისა და სპარტაკიადისადმი მიძღვნილი კინოჟურნალები, ხოლო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალისათვის გამოუშვას მოკლემეტრაჟიანი ფილმი მსოფლიო სპპარეზზე ქართველ სპორტსმენთა მიღწევების შესახებ.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი ვალდებული არიან რეგულარულად გააშუქონ საქართველოს სსრ სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადება და სპარტაკიადების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ IV საზაფხულო სპარტაკიადის გახსნის დღეს მოეწყობა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული დღესასწაული.

(საქდესი).

ᲒᲣᲨᲘᲜ...

თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის I ტურში მ. შიშოვმა დაამარცხა გ. მაჭავარიანი, ე. მიქაელიანმა — მ. გაბრიაძე, ე. უბილავამ — ნანა ალექსანდრია. ყაიმით დაარულდა პარტიები: ი. ვეტოხინი — მ. ლევინი, ა. ბუსლაევი — ა. ბოკუჩავა, ზ. მიქაძე — თ. გიორგაძე, გ. კალატოზიშვილი — გ. ციხელაშვილი. 4 პარტია გადაიდო.

ᲒᲝᲠᲘ გაიმართა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის IV ტური. დაწინაურდა ოსტატობის კანდიდატი ა. რაზოვსკი (ქუთაისი), რომელსაც 3,5 ქულა აქვს 4-დან. II ადგილზეა ამბროლაურელი ა. გვენცაძე — 3 ქულა. 2,5-2,5 ქულა დააგროვეს 18 წლის ა. ყურაშვილმა (აბაშა), შ. ურიდიამ (გუდაუთა) და ოსტატობის კანდიდატმა ა. ჩხაიძემ (თეთრი წყაროთ).

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

ჩიმბულაკში დინამოელთა შარშან გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ბაკურიანელმა სამოყოთხლამურე ი. ოგანეზოვმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. წარმატება შემთხვევითი რომ არ იყო, ეს მან დაადასტურა საქართველოს ზამთრის II სპარტაკიადაში. ოგანეზოვმა აქ განსაკუთრებით კარგად გაიქროლა გიგანტური სლალომისა და სწრაფდაშვების ტრასებზე, სადაც შესაბამისად მოიპოვა IV და III ადგილები. ეს ნიჭიერი სპორტსმენი შეუვანილია საქართველოს ნაკრებში, რომელიც ტერსოლში იასპარეზებს სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადაში. სურათზე: ი. ოგანეზოვი შეჯიბრების დროს.

ფოტო ო. გელაშვილისა.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲡᲐᲐᲗᲘ...

◆ **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** 15 თებერვალი. რამდენიმე დღის შემდეგ გეტებორგში დაიწყება მსოფლიოს პირველობა ვაჟთა შორის ციგურებით რბენაში. სსრ კავშირის ნაკრები ჩემპიონატში გამოვა ასეთი შემადგენლობით: ე. მატუსევიჩი, ა. ანტსონი, ვ. კაპლანი და ა. მაშკოვი.

◆ **ᲐᲓᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲐ,** 15 თებერვალი. აფრიკის ფეხბურთელთა წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 20 ნაკრები გუნდი. შეჯიბრებები თავდაპირველად გაიმართება ექვს ჯგუფში, რომელთა გამარჯვებულნი ეთიოპიაში მოიყრიან თავს და კონტინენტის ჩემპიონის წოდებას გაითამაშებენ.

◆ **ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ.** 15 თებერვალი. მსოფლიო ჩემპიონატში სააპარეზოდ ოსლოში გამგზავრების წინ აქ გაიმართა უძლიერესი ფინელი მოთხილამურეების შეჯიბრება. ტრასა გადიოდა ოლიმპიური სტადიონის რაიონში. 10 კმ ყველაზე სწრაფად გაირბინა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. მიანტიერანტამ — 26.19,0. მას მხოლოდ 5 წამით ჩამორჩა ა. ტიაინენი. III ადგილზეა კ. ოიკარაინენი — 26.35,0. ქალთა 5-კილომეტრიანი რბოლა მოიგო ს. ჰუსულამ — 15.35,0.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაკარაკოგენ დელეგატები

შეფობა გავუწიოთ!

ნორჩი მოჭადრაკე ნანა ალექსანდრია არჩეულია საქართველოს კომკავშირის 26-ე ყრილობის დელეგატად. ჩვენმა კორესპონდენტმა ინახულა ნანა და ესაუბრა მას.

● **რა წარმატებებით ხვდებით ყრილობას?**

— წლეულს ჯერჯერობით არც ერთ ასპარეზობაში არ გამოვსულვარ, შარშან კი საქართველოს ჩემპიონი გავხდი.

● **გასულ წელს რატომ არ ითამაშეთ სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალში?**

— ასეთი ტურნირისთვის მომზადებას ბევრი დრო სჭირდება, მე კი არ მქონდა ამის შესაძლებლობა. მოგეხსენებათ, წლეულს საშუალო სკოლას ვამთავრებ და დაძაბული მეცადინეობა მომეთხოვება.

● **წლეულს რა გეგმები გაქვთ?**

— პირველ ყოვლისა, წარმატებით დავასრულო სკოლა და არც ჭადრაკი ჩამოვრჩე. ჩემი მწვრთნელის ვ. ქარსელაძის რჩევით მონაწილეობას მივიღებ თბილისისა და საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატებში, რათა მომზადებული შევხვდე ქალთა საკავშირო შეჯიბრებას. სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის ფინალი ხომ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის შეპარჩევი ასპარეზობა იქნება! 1967 წელს ფიდე პირველად მართავს მსოფლიო პირველობაჰ გოგონებს შორის. ჩვენს ქვეყანაში ბევრია ამ ტურნირის მონაწილეობის პრეტენდენტი, ამიტომ მოსალოდნელია, რომ „ბედის მაძიებელნი" შესარჩევ შეჯიბრებაში შეხვდებიან ერთმანეთს.

არ შეიძლება არ გამოვთქვა ჩემი სახარული ყრილობის დელეგატად არჩევის გამო. ყრილობა, ცხადია, იმსჯელებს ჩვენში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შესახებაც, იტყვიან სიტყვას ჭადრაკზეც. კარგი იქნება, თუ მთამსვლელებთან ერთად შეფობას გავუწევთ ახალ ჭადრაკ-აღპინისტური კლუბის მშენებლობას.

„ინსპექციუ"

წერილი გურჯაანიდან

კუნთმაგართა კერა

თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე გურჯაანის სპორტული სკოლა მთელი რაიონის ბავშვთა საყვარელ კერად გადაიქცა. აქ აიდგა ფეხი ჩვენმა სახელგანთქმულმა ტახმოვარჯიშე ქალმა მ. ჯუღელმა. აქ აღიზარდნენ ნიჭიერი ფეხბურთელი, ქუთაისის „ტორპედოს" მოთამაშე მ. ასიტაშვილი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელთა ნაკრების წევრი ზ. ზურაბაშვილი და სხვ.

აქ დღენიადაგ არ ცხრება მოსწავლეთა მხიარული ჟრიამული. ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის, ხელბურთის, ქართული და კლასიკური ჭიდაობის სექციებში 212 ბავშვია გაერთიანებული, რომელთა მეცადინეობას 13 კვალიფიციური პედაგოგი ხელმძღვანელობს.

დარბაზში საღამოს საათებშიც ხალხმრავლობაა. ნორჩების შემდეგ აქ თავს იყრიან რაიონის კოლმეურნე-ახალგაზრდები, რომლებიც სკოლის პედაგოგთა უშუალო მეთვალყურეობით ვარჯიშობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

გამოცდილი მწვრთნელების ვ. ქაჩლიშვილის, დ. ნაცვლიშვილის, ვ. ძმანაშვილის, შ. არუთინაშვილის აღსაზრდელები წარმატებით გამოდიან როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, სპარტაკიადებში. აქაურმა მოსწავლემ, ფეხბურთელმა გ. ბეროშვილმა ასახელა მშობლიური სპორტსკოლა: იგი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს. მოსწავლეთა შარშანდელ XVII რესპუბლიკურ სპარტაკიადაში წარმატებით გამოვიდნენ სპორტსკოლის აღსაზრდელები. არც მძლეოსნებმა გაუმტყუნეს იმედი გულშემატკივართ: საქართველოს სოფლის სკოლების სპარტაკიადაში მათ III საპრიზო ადგილი მოიპოვეს...

სკოლის დირექცია დიდ დახმარებას უწევს მეზობელი სკოლების ნორჩ ფიზკულტურელებსაც. დარბაზში სპეციალური საათებია გამოყოფილი რკინიგზის 29-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა სავარჯიშოდ. და თუ „კოლმეურნის" რაიონულ პირველობაში „რკინიგზელმა" ფრენბურთელებმა — ბიჭებმაც და გოგონებმაც II ადგილები მოიპოვეს, ამაში წვლილი სპორტსკოლის კოლექტივსაც აქვს შეტანილი (ამ ასპარეზობაში I ადგილი დაიკავეს გურჯაანის სპორტსკოლის აღსაზრდელებმა).

სკოლის დირექტორმა ვ. ქაჩლიშვილმა გვიამბო:

ერთი სპორჯული სკოლის სასახელო საქმეები

— მართალია, წარმატებები გვაქვს, მაგრამ ჩვენს საქმიანობას, სამწუხაროდ, ხარვეზებიც ახასიათებს. მაგალითად, დღემდე არ გვაქვს ცენტრალური გათბობა, შხაპები. ამჟამად ვემზადებით საქართველოს მოსწავლეთა მომავალი სპარტაკიადისთვის. გავაფართოვეთ ეზო, სადაც მოვაწყეთ ფრენბურთისა და კალათბურთის ახალი მოედნები. მალე მონაწილეობას მივიღებთ რესპუბლიკის აღმოსავლეთის ზონის რაიონების ასპარეზობაში; განზრახული გვაქვს პირველობა არავის დავუთმოთ მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთსა და ფეხბურთში.

თუმცა პროგნოზები რა საჭიროა. დაე, ახლო მომავალმა დაგვანახოს გურჯაანელთა ახალი მიღწევები!

ჯ. მჟედლიშვილი.

* * *

სურათებზე: გურჯაანის სპორტსკოლის ნორჩი მძლეოსნები და კალათბურთელები ვარჯიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

რაკეტინი ეკრანიდან

ზუგდიდი

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის II სპარტაკიადის პროგრამაში იყო ასპარეზობა მძლეოსნობაში, ქართულ ჭიდაობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში. შეჯიბრებებში 300-მდე მოსწავლე-ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა. საერთო-გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა მექანიზაციის განყოფილების IV კურსის კოლექტივმა.

გ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

სსრ კავშირის სპორტკავშირში

სპორტსმენთა გადასვლის შესახებ ერთი ორგანიზაციიდან მეორეში

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ამას წინათ განიხილა სპორტსმენთა გადასვლის საკითხი ერთი ორგანიზაციიდან მეორეში და დაადგინა:

1968 წლის დამლევამდე აეკრძალოთ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს, სსრ კავშირის სპორტის ოსტატებს, ოსტატობის კანდიდატებსა და პირველთანრიგოსნებს, რომლებიც შედიან სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ოლიმპიურ გუნდებში, ოლიმპიურ მოსამზადებელ ჯგუფებში, მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრებსა და „ა" და „ბ" კლასის გუნდებში, ერთი სპორტული ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლა.

სპორტსმენი, რომელიც შესაბამისი საკავშირო სპორტული ფედერაციის უნებართვოდ გადავა ერთი ორგანიზაციიდან მეორეში, დისკვალიფიცირებულ იქნება, ხოლო ფიზკულტურული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც ხელს უწყობდა სპორტსმენს ამ გადასვლაში, მიიღებს ადმინისტრაციულ სასჯელს (სამსახურიდან გათავისუფლებამდეც კი).

დადგინდეს, რომ საკავშირო სპორტული ფედერაციები ზემოაღნიშნულ სპორტსმენებს გადასვლის უფლებას მისცემენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ არსებობს ამის საპატიო მიზეზები. ეს გადასვლა შემდგომ უნდა დაამტკიცოს კავშირის ცენტრალურმა საბჭომ.

საბჭოთა არმიაში მორიგი გაწვევით წასულთ, ან არმიის რიგებიდან დემობილიზებულთ, აგრეთვე სასწავლო დაწესებულებების დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გასანაწილებელ სპორტსმენებს უფლება აქვთ დაიცვან იმ ფიზკულტურული კოლექტივის სახელი, რომელშიც ისინი შევიდნენ.

საკავშირო სპორტულ ფედერაციებს სპორტსმენთა გადაყვანის საკითხი შეუძლიათ გადწყვიტონ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამ საკითხს განიხილავენ ფიზკულტურულ კოლექტივში, საზოგადოებათა ცენტრალურ საბჭოსა და სპორტკავშირის რესპუბლიკურ საბჭოში.

ინსტრუქცია „სპორტსმენთა ერთი ფიზკულტურული ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლის წესის შესახებ", რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მიერ 1955 წლის 28 სექტემბერსაა დამტკიცებული (№ 409), ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

ისევ ფსიქოლოგიური

ამ ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმა სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადების აუცილებლობის შესახებ.

ცხადია, სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების საკითხებზე მსჯელობა უნდა ეყრდნობოდეს, ერთის მხრივ, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს, ხოლო მეორეს მხრივ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფსიქოლოგიის საფუძვლიან ცოდნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. ამიტომ გაკვირვებას იწვევს ექიმ-ნევროპათოლოგ ვ. გოგუაძის მიერ „ლელოს" ა. წ. 6 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი სათაურით: „ეს პატარა საქმე არაა". სამწუხაროდ, ავტორმა წერილში წამოყენებულ საკითხს ვერ გაართვა თავი. ჩვენთვის გაუგებარია „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდთან ექიმ-ფსიქოლოგის მიმაგრების აუცილებლობა. ზემოხსენებული წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის სამედიცინო ინსტიტუტებში არ მზადდება ექიმი-ფსიქოლოგები, უფრო მეტიც, სამედიცინო ინსტიტუტებში არ იკითხება ფსიქოლოგიის კურსი. ამიტომ, ბუნებრივია, ექიმებს ჩვენში, როგორც წესი, არა აქვთ სპეციალური ფსიქოლოგიური განათლება (თუ არ ჩავთვლით შარშანდელ სეზონში თბილისის „დინამოსთან" მომუშავე ექიმ-ფსიქოლოგს, ამჟამად ნევროპათოლოგს დოქ. ხ. წულაძეს, რომელიც წლების მანძილზე ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა და, ამდენად, კარგად იცნობს ფსიქოლოგიას).

აღნიშნული წერილის ავტორი, ეტყობა, ცუდად იცობს ზოგადსა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფსიქოლოგიას და ამ უკანასკნელთა მნიშვნელობას სპორტისთვის, უმვეს მთელ რიგ შეცდომებს, რაც გაუგებარს ხდის მის წერილს. ძნელია გაუგო ავტორს, როცა იგი წერილის თავში წერს: „ტემპერამენტიანი ადამიანის შინაგანი გაწყობა (დადებითი, თუ უარყოფითი) თვალსაჩინო გავლენას ახდენს კოლექტივზე, მით უმეტეს, თუ იგი მაღალი კლასის ფეხბურთელია და დიდი ავტორიტეტი აქვს". ავტორი შემდეგ აგრძელებს: „მცნება ტემპერამენტული ისევ ხასიათებს მოიცავს, რომლებიც უფრო „დაუმორჩილებელი" არიან, ვიდრე უტემპერამენტო ხასიათები, ამიტომ უკანასკნელ შემთხვევაში კოლექტივის შექმნა უფრო ადვილია და ასევე გუნდი გაცილებით თანმიმდევრულია მიზნის მიღწევაში" და ა. შ.

ავტორის აღნიშნული მსჯელობიდან ჩანს, რომ იგი არ იცნობს როგორც ტემპერამენტის, ისე ხასიათის და ა. შ. ცნებებს (და არა მცნებას). მაგალითად: ტემპერამენტი, რომელიც ადამიანის ემოციური ცხოვრების თავისებურებათა განმსაზღვრელია, აქვს ყოველ ნორმალურ ადამიანს. თვითეული ადამიანი ტემპერამენტის ამა თუ იმ ტიპს მიეკუთვნება. ასევეა ხასიათის მიმართებითაც. ხასიათი, ისევე როგორც ტემპერამენტი, პიროვნების ფსიქიკური თვისებაა, რომელიც ადამიანის ნებისმიერი მოქმედების თავისებურებათა საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ ავტორის მტკიცება, რომ „უტემპერამენტო ხასიათები" უფრო ემორჩილება აღზრდის გავლენას, ვიდრე „მცნება ტემპერამენტული" ხასიათების ადამიანები, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობაა და სხვა არაფერი.

ავტორის შემდეგი მსჯელობიდან ირკვევა, რომ იგი არ იცნობს სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების ორი სახის არსებობას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფსიქოლოგიაში არჩევენ: 1. სპორტსმენის საერთო ფსიქოლოგიურ მომზადებას, რომელიც მისი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების თანაბარღირებულებისაა, წარმოებს მთელი წლის მანძილზე და მიმართულია სპორტსმენის სპორტული დახელოვნების სრულყოფისკენ. სახელდობრ, აქ ხდება სპორტსმენის იმ ფსიქიკური ფუნქციების, უნარისა და პიროვნების თვისებების ფორმირება, რომელთაც სპორტის მოცემულ სახეობაში წარმატებების მოპოვებისთვის უდიდესი ღირებულება აქვთ და 2. კონკრეტული შეჯიბრებებისთვის სპორტს-

დასკვნები გამოიტანეს

ახლახან ლვოვში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ხელბურთელთა ასპარეზობა ზამთრის არდადეგების პრიზზე. „ლელომ“ გამოაქვეყნა თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდის პირველი 3 მატჩის შედეგები.

ამ შეხვედრებში, როგორც ცნობილია, თბილისელებმა გაიმარჯვეს. მომდევნო მატჩებში მათ ასეთ შედეგებს მიაღწიეს: კიეველებთან — 29 : 22, ერევნელებთან — 30 : 22, მინსკელებთან — 22:28 და კრასნოდარელებთან — 20:24.

ასპარეზობაში მინსკის კოლექტივმა 12 ქულით I ადგილი მოიპოვა. 10-10 ქულა დააროვეს კრასნოდარელებმა, ალმაათელებმა და თბილისელებმა. როცა მათი ბურთების შეფარდება დაჯამდა, II-IV ადგილები ამავე თანმიმდევრობით განაწილდა.

თბილისელთა ეს ერთგვარი წარუმატებლობა აიხსნება იმით, რომ მათ აკლდათ წამყვანი ხელბურთელები — აბაიშვილი, ცერცვაძე, ფხაკაძე და ექსეულიძე. თუ პირველ სამს ამის გასამართლებელი საბუთი ჰქონდა, გუნდში ექსეულიძის არყოფნა მისსავე უწესობაში უნდა ვეძიოთ. ლვოვში გასამგზავრებლად თბილისის აეროპორტში იგი ნასვამი გამოცხადდა: მწვრთნელმა გ. შარაშიძემ დასაჯა ექსეულიძე —თბილისში დატოვა.

სწორედ ეს საკითხი განიხილა თბილისში დაბრუნებულმა გუნდმა თავის გუშინდელ კრებაზე. კოლექტივის წევრებმა ა. ექსეულიძეს ერთხმად გამოუცხადეს საყვედური და გააფრთხილეს, რომ თუ იგი მსგავს შემთხვევას გაიმეორებს, უფრო მკაცრად დაისჯება. ექსეულიძეს ამხანაგებს პირობა მისცა, რომ მთელის პასუხისმგებლობით მოეკიდება საქმეს, დაიცავს საწვრთნელ რეჟიმს და თანაგუნდელებთან ერთად სერიოზულად მოემზადება სსრ კავშირის მომავალი ჩემპიონატისთვის.

ხელბურთელთა კოლექტივის წევრებმა შეიმუშავეს საკავშირო პირველობისათვის მზადების გეგმა.

ჯ. ენდელაძე.

„ბურევესტნიკის“ საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი

ლოგიკური სვლები...

მ. ბერდიჩევსკი (ოდესა) — თ. ლომაია

ძველინდური დაცვა

1. d4 ᲛᲔ6 2. c4 g6 3. ᲛᲒ3 ᲙᲔ7 4. e4 0—0 5. f4 d6 6. d5.

ამ უჩვეულო სვლით თეთრები ცდილობენ გვერდი აუარონ გატეკენილ გზას ძველინდურ დაცვაში. მაგრამ შავები მარტივი და ლოგიკური სვლებით უკუაგდებენ მეტოქის ჩანაფიქრს.

6. ... e6 7. ᲙᲓ3 ed 8. cd ᲔᲔ8 9. ᲛᲒe2 ᲛᲑd7 10. 0—0 ᲛᲒ5 11. ლc2 c6 12. dc bc 13. h3.

თეთრებს უკვე უჭირთ ფიგურების განვითარების დამთავრება.

13. ... a5! 14. ᲔᲔ1.

დაცვით მუქარისგან 14. ... მ:d3 15. ლ:d3 ᲙᲐ6 16. ლc2 კ:e2 17. ლ:e2 მ:e4 18. მ:e4 d5.

14. ... მ:d3 15. ლ:d3 მ:e4! 16. მ:e4 ᲙᲔ5 17. ᲛᲒ3 d5 18. ლc2 კ:e4 19. ლ:c6 ᲔC8 20. ლb5 ᲔC2 21. ᲔᲔ2 ᲚB8!

გადამწყვეტი სვლა. ენდშპილი უიმედოა თეთრებისთვის.

22. ᲚA4 Ე:e2 23. მ:e2 კ:g2 24. ᲛᲤ:g2 Ე:e2 + 25. ᲛᲤᲒ3 ᲔᲔ1 26. ლ:a5 ᲚᲔ8.

თეთრები დანებდნენ.

შენიშვნები სპორტის ოსტატ ა. ᲒᲔᲚᲔᲠᲘᲡᲐ.

ლენინგრადი.

ᲕᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲗ

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გუშინ დაიწყო დედაქალაქის საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალი. ასპარეზობაში მონაწილეობენ (ენციკლოპედიის მიხედვით): 1. ი. ვეტოხინი, 2. მ. ლევინი, 3. ოსტატი ი. ᲑᲣᲡᲚᲐᲔᲕᲘ, 4. ლ. კერნოეიცკი, 5. ს. ჩეჩელიანი, 6. ზ. მიქაძე, 7. თამაზ გიორგაძე, 8. მ. ჩაგუსავა, 9. გ. ტურიაშვილი, 10. გ. ᲕᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲔᲫᲔ, 11. ვ. დავითაშვილი, 12. გ. კალატოზიშვილი, 13. გ. ციხელაშვილი, 14. გ. მაკავარიანი, 15. ოსტატი მ. შიშოვი, 16. ე. მიქაელიანი, 17. ბ. გაბრიაძე, 18. ე. უბილავა, 19. ნანა ალექსანდრია, 20. ოსტატი ი. ჩიქოვანი, 21. ს. მეგრელიშვილი.

ტურნირი გაიმართება შვეიცარიული სისტემით. გათამაშდება 9 ტური. ყოველი ტურის შემდეგ დღეს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება. პირველ 9 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაიშვებიან საქართველოს წლეკანდელი საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალში.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲪᲔᲑᲘᲗ

თითქმის 30 წელია ტრესტ „საქშახტმშენის“ ინჟინერი მ. აზრუმელაშვილი (თბილისი) თავისუფალ დროს სიყვარულით უთმობს საჭადრაკო ამოცანების შედგენას. ჯერ კიდევ სტუდენტობისას ნიჭიერ პრობლემისტს გამოუქვეყნებია თავისი თხზულებები გაზეთებსა („კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მუშა“) და საჭადრაკო პრესაში. დაბეჭდილა მისი ამოცანები „ლელოშიც“. პრობლემისტი კვლავ ახალგაზრდული გატაცებით მუშაობს საყვარელ ხელოვნებაში.

მ. აზრუმელაშვილის შემოქმედებას ახასიათებს ფორმის სისადავე, იდეის გამოკვეთილობა და ამოხსნის მოულოდნელობა.

გთავაზობთ თბილისელი პრობლემისტის ახალ ამოცანას.



შამათი 8 სვლაში.

სპორტი და პოლიტიკა

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲜᲘ

ვინ არის ეს ერთობ რესპექტაბელური ადამიანი, რომელიც ასე გულმოდგინედ ურტყამს ფეხს ბურთს (სურათზე მარცხნივ)? იქნებ, იგი წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი გახლდათ, რომელმაც უეცრად გაიხსენა ახალგაზრდობა? ან შესაძლოა, იგი ფეხბურთელთა გუნდს წვრთნის და თავის მოთამაშეებს მორიგ ილეთს ასწავლის? სრულებითაც არა! თქვენს წინაშეა ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მიწის პრემიერ-მინისტრი, გფრ-ის მმართველი პარტიის — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გავლენიანი წევრი, 57 წლის ფრანც მაიერსი.

ფეხბურთის „თამაშიც“ მან უბრალოდ როდი გადაწყვიტა. ჯერ კიდევ თავის დროზე კანცლერმა ადენაუერმა თავისი პარტიის წევრებს მოუწოდა: წინასაარჩევნო კამპანიებში პოპულარობა მოეხვეჭათ მასობრივი სანახაობებისა და სპორტული ღონისძიებების დახმარებით. დასავლეთგერმანელი პოლიტიკოსები ყოფილი კანცლერის ანდერძის ერთგული არიან. სპორტის მეოხებით ისინი მოსახლეობაში არა მარტო პირადი პოპულარობის მოპოვებას ცდილობენ, არამედ თავიანთი მილიტარისტული და რევანშისტული პოლიტიკის მხარდაჭერასაც.

გფრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრმა ლიუკემ საინსტრუქტაჟოდ მიიწვია დასავლეთ გერმანიის შპორტბუნდის ლიდერები და მათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ყბადაღებული დოკტრინის გახორციელება მოსთხოვა სპორტში.

თვით მაიერსმა, რომელიც სპორტსმენთა და სპორტული პრესის დღესასწაულზე ფოტორეპორტიორების წინ ფეხბურთით ირთობდა თავს, ასეთი რამ განაცხადა: მე გუნებაში მუდამ ვიყავი სპორტსმენი და ოლიმპიური იდეალების თაყვანისმცემელი. ამ ცოტა ხნის წინ ბრძანება გასცა გფრ-ის იმ სპორტსმენთა დაპატიმრებაზე, რომლებიც ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მიწას ეწვივნენ თავიანთი დასავლეთგერმანელი კოლეგების მიპატიჟებით.

პოპულარობის მეორე მოყვარული, ერთ-ერთი გავლენიანი პირი ბონში, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე და აშკარა ანტიკომუნისტი რაინერ ბარცელი ამას წინათ ბუნდესტაგის ახვა დეპუტატებთან ერთად დასავლეთ ბერლინში ჩამოვიდა ბონის პარლამენტის პროვოკაციულ „სწდომათა კვირეულზე“ დასასწრებლად. მან კარგად იცის, რომ დასავლეთ ბერლინის ბევრი მოქალაქე გფრ-ის მმართველი წრეების უკმაყოფილოა და ამიტომ მანაც გადაწყვიტა სპორტის შემწეობით დაეტაკნო ეს მწარე აბი — იმავე დღეს იგი საგანგებოდ გაეშურა ექსდღიან ველორბოლაზე დაასწრებად, შეჯიბრებაზე, რომელსაც პროფესიონალი ველოსიპედისტები დასავლეთ ბერლინის სპორტის სასახლეში ატარებენ რეგულარულად.

ბარცელს სურდა დამტკიცებინა, რომ იგი „შინაური კაცია“ და ხალხთან ახლოს დგას. სწორედ ამიტომ იყო, რომ სხვა მაყურებლებთან ერთად იგი თავდავიწყებით უსტვენდა (მარჯვენა სურათზე) და... წამდაუწუმ აქეთ-იქით იყურებოდა: ასწრებენ თუ არა ფოტოკორესპონდენტები ამ დემოკრატიულობის აღბეჭდვას ფოტოფირზე? რბოლის შემდეგ ბარცელმა სპორტის მოყვარულებს ხელგაშლილად დაუდგა ტონა ლუდი, თვითონ კი მოაჯდა ველოსიპედს და სტადიონზე საპატიო წრე შემოხაზა.

ასეთი იაფფასიანი ხაშუალებებით ცდილობენ დასავლეთგერმანელი პოლიტიკოსები სპორტისადმი მოსახლეობის სიყვარულის გამოყენებას თავიანთი პოლიტიკის ბინძური მიზნებისთვის.

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

მენის ფსიქოლოგიურ მომზადებას. ამ უკანასკნელის ამოცანებს სპორტსმენის (გუნდის) მიერ მოცემულ შეჯიბრებაში დასახული მიზნები განსაზღვრავს.

მრავალი მეცნიერის მიერ წლების მანძილზე ინტენსიური კვლევის შედეგად დადგენილი ფსიქოლოგიური მომზადების ორივე სახის შინაარსი საკმაოდ დამაჯერებლადაა ჩამოყალიბებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფსიქოლოგიაში, რომელთა შემოქმედებითი გამოყენება მწვრთნელებს ან გუნდთან მიმაგრებულ ფსიქოლოგს ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა მათს აღსაზრდელთა ოსტატობის შემდგომ ამაღლებაში. ამიტომ, რაგინდ კეთილშობილური განზრახვაც უნდა ჰქონდეს ავტორს, სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების არასრულფასოვანი რეცეპტი, რასაც იგი გვაწვდის, არავითარ შემთხვევაში არ შეუწყობს ხელს აღნიშნული საკითხის წარმატებით გადაწყვეტას.

ბუნებრივია, მკითხველს წამოეჭრება კითხვა — ვინ უნდა მოკიდოს ხელი სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადების საქმეს? გვყავს კი კადრები, რომლებიც წარმატებით გაართმევდნენ თავს ამ დიდ საქმეს და ამით გარკვეულ წვლილს შეიტანდნენ ჩვენი სამამულო სპორტის შემდგომ განვითარებაში? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიური მომზადება უნდა აწარმოოს მან, ვისაც აქვს სათანადო ფსიქოლოგიური განათლება და კარგად იცნობს სპორტს. სამწუხაროდ, ასეთი კადრები საქართველოში ცოტა გაგვაჩნია. ჩვენ გვყავს შესანიშნავი ფსიქოლოგები, საკვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები, მაგრამ არა გვყავს კადრები, რომლებიც ზემოაღნიშნულ ორ პირობას დაკმაყოფილებდნენ, იმუშავებდნენ სპორტის ფსიქოლოგიაში. ჩვენ არ გვყვანან მწვრთნელები (თუმცა ყველა მწვრთნელი, როგორც პედაგოგი, საკმაოდ უნდა იცნობდეს ფსიქოლოგიას), რომელთაც ძირითადი საქმიანობის გარდა ეცოდინებოდათ თავიანთი აღსაზრდელების ურთიერთობათა ფსიქოლოგიური თავისებურებანი. საამისოდ კი აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ე. წ. მცირე ჯგუფების შინაგანი ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი. აღნიშნული საკითხების გარკვევა ფსიქოლოგი სპეციალისტის კომპეტენციაში შედის, ამიტომ გაუგებარია რა უნდა გააკეთოს გუნდთან მიმაგრებულმა ექიმმა-ფსიქოლოგმა (როგორც ამას ვ. გოგუაძე გვთავაზობს). წინამდებარე წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ გუნდთან მიმაგრებული ექიმი სათანადო ცოდნისა და სურვილის შემთხვევაში გახდება ფსიქოლოგი, მაგრამ მას აკისრებენ, რომ სპორტში (ფეხბურთში) ფსიქოლოგიური საკითხების გადაწყვეტა და ფსიქოლოგად გახდომა ისეთივე შრომას მოითხოვს, როგორც ექიმის პროფესიის დაუფლება.

ჩვენ სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკაში მხოლოდ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრაზე მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სპორტისა და ფიზიკური აღზრდის ფსიქოლოგიის საკითხებზე და (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნორმალური პირობები არც აქ გააჩნიათ) სამწუხაროა, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ნაკლებ მზრუნველობას იჩენენ სათანადო კადრების მომზადებაზე.

ხასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ვ. გოგუაძემ თავის წერილში წამოჭრა სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების საკითხები. ეს საქმე ახლა იმდენად მომწიფდა, რომ მოითხოვს დროულად და მაღალ მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტას.

ბ. ᲓᲔᲕᲐᲚᲘ.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის უფროსი მახწავლებელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

„უაღრესად მძაფრი ბრძოლა“

ოსლო, 14 თებერვალი. „როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მოციგურე ქალთა მსოფლიო პირველობა დამთავრდა საბჭოთა ტრიუმფით,— წერს დღეს გაზეთ „არბაიდერ-ბლადეტის“ სპორტული მიმომხილველი. — ვალენტინა სტენინას დაფნის გვირგვინით საბჭოთა კავშირმა უზრუნველყო თავისთვის ზედიზედ მე-15 გამარჯვება ჩემპიონატში. მსოფლიო პირველობათა ბოლო ათ გათამაშებაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა მოიპოვეს 29 მედალი 40-დან. ამჯერად ისინი იძულებული იყვნენ დაეთმოთ 2 მედალი. მაგრამ ყველაზე კეთილშობილი ლითონნიდან ჩამოსხმული ჯილდო მათ ტრადიციის მიხედვით მაინც თან წაიღეს“.

გაზეთი „აფტენპოსტენი“ სტენინას თვლის ღირსეულ ჩემპიონად. „ეს მორჩილი ტანის, მაგრამ ელეგანტური ქალბატონი ბრწყინვალე ტექნიკას ფლობს. მართალია მას არ გაუმარჯვნია დისტანციებზე. მაგრამ მაინც ყველაზე საუკეთესო იყო და ძალიან თანაბრად გამოვიდა“,— აღნიშნავს მიმომხილველი.

ნორვეგიის დელეგაციის ბიუროს სპორტული კომენტატორი აღნიშნავს, რომ ვ. სტენინას გამარჯვებაში დაეხმარა საერთაშორისო გამოხვლებში მოხვეჭილი მდიდარი გამოცდილება. „თუმცა მას დაფნის გვირგვინისთვის უაღრესად მძაფრი ბრძოლის გადატანა მოუხდა კორეელ ლიმ ჰუ ჯუნ, ავსტრიელ ბ. ეგლერ-ეიბენბერგერ და ჰოლანდიელ სტინ კარიზერთან“.



იტალიის ქალაქმა ტურინმა მხურვალე მასპინძლობა გაუწია მთელი მსოფლიოს სტუდენტ-სპორტსმენებს. და აი, მას შემდეგ, რაც საღამოსასწაულო ვითარებაში დაეშვა უნივერსიადის ალამი და მადლიერების გრძნობით აღსავსე სპორტსმენებმა დატოვეს ეს შესანიშნავი მხარე, ტურინი თითქოს დაცარიელდა. იტალიური გაზეთები აღნიშნავენ, რომ უნივერსიადის დღეებში ქალ სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფდა და მთელი დედამიწის სტუდენტობას საოცრად დიდი სახარული და ადმაფრენა შეეჭონდა ქალაქის ყოველდღიურ ყოფაში. ამჯერად ტურინი იქცა სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტი-სპორტსმენების მეგობრობის კერად.

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ აქ საბჭოთა სპორტსმენები. მათ მრავალი გრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს უნივერსიადების ისტორიაში. ამ სურათებზე თქვენ ხედავთ სტუდენტ-სპორტსმენთა მსოფლიო ფორუმის ჩემპიონებს — ყინულზე ფიგურული ციგურაობის საუკეთესო წყვილს — მოსკოველებს ტ. ტარასოვასა და გ. პროსკურინს (ზევით); 4×10 კილომეტრზე ვაჟთა ესტაფეტის „ოქროს“ გუნდის წევრებს ვ. პუსტოგაროვსა და დ. ილრლიკოვს შეჯიბრების მომენტში.

ფოტო „სპორტოვეცისა“ (პოლონეთი) და აპ-საკდესის ტელეფოტო.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

სიკვდილი ტრასაზე

ეს მოხდა კორტინა დ'ამპეცოში ბობსლეისტთა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს. ასპარეზობა მიმდინარეობდა ოლიმპიურ ტრასაზე. სპეციალისტები არა ერთხელ მიუთითებდნენ ტრასის წარმოუდგენელ სირთულეზე, წერდნენ „საშინელ დაფერდებაზე“ და „გიჟურ მოსახვევებზე“ (ავსტრიული გაზეთი „ფოლკსშტიმე“). აქ არა ერთხელ მომხდარა კატასტროფა. ასე იყო ამჯერადაც.

დაიწყო ოთხეულთა შეჯიბრება. გამარჯვების ერთ-ერთ ფავორიტებად თვლიდნენ დასავლეთგერმანელ მრბოლელებს, რომელთაც მეთაურობდა 25 წლის ტ. პენსბერჯერი. ოთხეული ისეთი სისწრაფით მიჰქროდა, რომ ერთ-ერთი ციცაბო ვირაჟიდან ციგა ღარიდან ამოტა, კედელს გადააფრინდა და ხეს შეასკდა. წინ მჯდარი ტ. პენსბერჯერი სასიკვდილოდ დაშავდა — იგი საავადმყოფოში მიიყვანამდე გარდაიცვალა. მეორე დასავლეთგერმანელი ბობსლეისტი — ლ. ზიბერტი ჰოსპიტალში მიიყვანეს მოტეხილი ფეხითა და ბარძაყით. დანარჩენი ორი მრბოლელი — ჰ. ვერცერი და რ. ებერჰარტი მსუბუქად დაშავდნენ.

ჩემპიონატის ეიურის წინადადებით, შეჯიბრება შეწყდა და ჩატარებული რბოლების შედეგები გაუქმდა. შემდეგ მსაჯებმა ერთხმად დაადგინეს: მიაკუთვნოს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები ტ. პენსბერჯერის გუნდს, რათა ამით პატივი სცეს მის ხსოვნას.

დაპატიმრებული გუნდი

ექვადორის „ემელიციასა“ და არგენტინის კლუბის „ველეცსარსფილდის“ ფეხბურთელთა გუნდების მატჩი სამხრეთამერიკული გაგებითაც კი უჩვეულოდ მძაფრად მიმდინარეობდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ არგენტინელები. ისინი უბრალო საბაბზეც კი ჩხუბს სტეხდნენ, ლანძღავდნენ მსაჯს და ხან მოედნის ერთ ნაწილში აჩაღებდნენ მუშტიკრივს, ხან — მეორეში. მსაჯმა რამდენიმეჯერ გააფრთხილა გაშმაგებული ფეხბურთელები, მაგრამ ამაოდ.

და აი, როცა მსაჯი მოჩხუბართა გაზავებას შეეცადა, არგენტინელებმა იგი კარგა მაგრად მიბეგვეს. მსაჯს მაინც ეყო ვაჟკაცობა შეხვედრა ბოლომდე ჩაეტარებინა. გაიმარჯვეს ეკვადორელებმა — 2:0.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. არგენტინელი ფეხბურთელები ისინ იყო შევიდნენ თავიანთ გასასდელში, რომ გამოჩნდა ქალაქ გუაიაკილის პოლიცია (მატჩი ამ ქალაქში მიმდინარეობდა), რომელმაც დააპატიმრა ყველა 11 არგენტინელი მოთამაშე „ცუდი ქცევისა და ფეხბურთის მინდორზე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, აგრეთვე მსაჯზე ხულიგნური თავდასხმისთვის“.

მოჩხუბრები იძულებული იყვნენ ციხეში დაეფოთ ბინა. ისინი გაათავისუფლეს მაშინ, როცა მათმა კლუბმა „ველეც-სარსფილდმა“ დიდი ჯარიმა გადაიხადა.

„ოქროს გუნდის“ უკანასკნელი დღეები

„დაბრუნდა დიდი ტონი ზაილერის დრო!“ — რამდენიმე წლის წინათ წერდნენ ავსტრიული გაზეთები. ეურნალისტებს ჰქონდათ საკმაო საფუძველი ეზეიმათ თავიანთი თანამემამულის წარმატებები. შამონიში ჯამართულ სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატში ავსტრიელებმა მოიპოვეს ოქროს 6 მედალი 8-დან. ეს იყო გაუგონარი ტრიუმფი.

ორი წლის შემდეგ, ინსბრუკის ოლიმპიურ თამაშებში ზაილერის მემკვიდრეებმა კვლავ მოიმკეს ოქროს მედლების მდიდარი მოსავალი. 6 უმაღლესი ჯილდოდან აქ მათ შეხვდათ 3.

ჰორიზონტზეა მსოფლიოს ახალი ჩემპიონატი, რომელიც წლეულს ჩილის ქალაქ პორტილოში გაიმართება. ავსტრიის „ოქროს გუნდს“ ამჯერადაც გამარჯვების ძალიან დიდი შანსი აქვს.

თუმცა, მოდით, ნუ გავაკეთებთ პროგნოზებს. დღეისთვის ნათელია ერთი: პორტილო „ოქროს გუნდი-

- **პატივი სცეს სპორტსმენის ხსოვნას**
- **დიდი ჯარიმის ფასად**
- **საიმედო ცვლა არ ჩანს**

სთვის“ შეიძლება ბოლო ჩემპიონატი იყოს. ავსტრიის უძლიერესმა სამთო-მოთხილამურეებმა — კ. შრანცმა, ე. ციმერმანმა და კ. ნენგმა გადაწყვიტეს პროფესიონალებში გადასვლა, ავსტრიის სლალომისტ ქალთა საუკეთესო სამეული — კ. ჰაასი, ე. ციმერმანი და ტ. პეჰერი კი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საერთოდ წყვეტენ სპორტში მეცადინეობას.

მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ სამთო-სათხილამურო ტრასების ამ გამოჩენილ დიდოსტატებს ჯერჯერობით არ ჰყავთ საიმედო ცვლა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

კანონის დამცველნი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ შეარჩია კანდიდატები მსოფლიოს VIII ჩემპიონატის დისციპლინარული კომისიის შემადგენლობისთვის. ესენი არიან: მადურო (კიურასაო), პიკო (ესპანეთი), კოლომბო (არგენტინა) და ჯანი (განა).

ჩემპიონატის დღეებში საფეხბურთო კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებული ყველა საკითხი შედის ამ კომისიის კომპეტენციაში.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ, ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ, ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

სუარესი კვლავ თამაშობს

ძლიერი წვიმის მიუხედავად, კვირას მილანის „სან-სიროზე“ 30 ათასზე მეტი მაყურებელი მოვიდა: აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი „ინტერნაციონალე“ და დედაქალაქის „რომა“. ატალახებულ მინდორზე გუნდები ასეთი შემადგენლობებით გამოვიდნენ: **„ინტერნაციონალე“:** სარტი, ბურგნიჩი, ლანდინი, კაპელინი, გუარნერი, პიკი, ჟაირი, მაცოლა, დომენგინი, სუარესი, კორსო; **„რომა“:** კუდინიჩი, კარპენეტი, არდიკონი, კარპანეზი, ლოზი, ბენალია, ლეონარდი, ტამბორინი, და სილვა, სპანიო, ბარიზონი.

ერთთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მინდორზე პირველად გამოვიდა „ინტერის“ მთავარი იარაღი, ცნობილი ესპანელი ფორვარდი სუარესი. 28-ე წუთზე მასპინძელთა მცველებმა შეცდომა დაუშვეს და ბარიზონმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. მაგრამ სულ 1 წუთი გავიდა და ანგარიში გათანაბრდა: „რომას“ საჯარიმო მოედანზე მოცელეს კორსო და მაცოლამ ზუსტად გამოიყენა პენალტი.

39-ე წუთზე სპანიომ წინ გაიყვანა „რომა“ — 2:1.

შესვენების შემდეგ „ინტერი“ ბევრს უტევდა, მაგრამ მხოლოდ 1 ქულის მოპოვება შეძლო: 58-ე წუთზე სუარესმა ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

ნეაპოლში ადგილობრივი „ნაპოლისა“ და „ბოლონიის“ უაღრესად უხეში თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ფიორენტინა“ — „კატანია“ 0:0, „ატალანტა“ — „ბრეშია“ 0:0, „კალიარი“—„ტორინო“ 3:2, „იუვენტუსი“—„ვარეზე“ 3:1, „სამპდორია“— „მილანი“ 1:2, „სპალი“ — „ლანეროსი“ 0:0.

გათამაშების ცხრილში პირველი შვიდეული ასე გამოიყურება:

	თ.	ბ.	ქ.
„ინტერნაციონალე“	21	40:16	32
„მილანი“	20	31:17	29
„ნაპოლი“	21	31:17	29
„ბოლონია“	21	36:26	26
„ფიორენტინა“	21	24:14	26
„იუვენტუსი“	21	20:13	25
„რომა“	21	18:20	23

(საკ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



ᲕᲐᲚᲠᲐᲙᲘ. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **16 თებერვალი-5 მარტი.** თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალი. დასაწყისი 17 ს.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲕᲘᲓᲐᲛᲑᲐ. „განთიადის“ სპორტული დარბაზი (სულხან-საბას ქ. № 13). **16 თებერვალი.** თბილისის ჭაბუკთა პირადი პირველობა. დასაწყისი 18 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 9 56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო—8-95 30, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8 95-14, ფოტოლაბ ორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.